განმარტებითი ბარათი

„სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

პროექტის დამახასიათებელი ნიშნები:

პროექტი ეფუძნება:

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №1955 განკარგულებას; ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის №53 განკარგულებას; ასევე 2025 საბიუჯეტო წლის დასაწყისისათვის არსებული თავისუფალი სახსრების ნაშთის მიმართვის საფუძველზე აუცილებლობას წარმოადგენს ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი”-ში ასახულ იქნეს სათანადო ცვლილებები და დამატებები.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“' საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №1955 განკარგულებით ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან პუნქტი 1.36-ით სენაკის მუნიციპალიტეტისათვის დანართი №36-ით გამოყოფილი თანხა შეადგენს 5 985 798 (ხუთი მილიონ ცხრაასოთხმოცდახუთი ათას შვიდასოთხმოცდაცხრამეტი) ლარს, მათ შორის: ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია 542 270(ხუთასორმოცდაორი ათას ორასსამოცდაათი) ლარი; ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, ლეგოგიეს უბანში გზის რეაბილიტაცია 1 235 996 (ერთი მილიონ ორასოცდათხუთმეტი ათას ცხრაასოთხმოცდათექვსმეტი) ლარი; მეორე ნოსირის ადმინიტრაციულ ერთეულში, ჭუბაბრიეების, მილორავების უბანებში გზის რეაბილიტაცია - 387 661 (სამასოთხმოცდაშვიდი ათას ექვსასსამოცდაერთი) ლარი; გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულში საკუპრეიშვილოს უბანში გზის რეაბილიტაცია 268 363(ორასორმოცდარვა ათას სამასსამოცდასამი) ლარი; ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლებაღათურიეს უბანში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 716 321(შვიდასთექვსმეტი ათას სამასოცდაერთი) ლარი; გოლასკური-ზემო ჭალადიდის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 600 000(ექვსასი ათასი) ლარი; ქალაქ სენაკში კალისტრატე გრიგოლიას ქუჩის რეაბილიტაცია 73 320(სამოცდაცამეტი ათას სამასოცი) ლარი; ქლაქ სენაკში ვაჟა-ფშაველას ქუჩის რეაბილიტაცია 76 455(სამოცდათექვსმეტი ათას ოთხასორმოცდათხუთმეტი) ლარი; ზანის ადმინისტრაციულ ერთეულში, საესებუოს უბანში გზის რეაბილიტაცია 300 000(სამასი ათასი) ლარი; ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ბეთლემში ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 85776 (ოთხმოცდახუთი ათას შვიდასსამოცდათექვსმეტი) ლარი; სანკტ პეტერბურგის ქუჩის რეაბილიტაცია(ჟ.შარტავას ქუჩიდან თბილისის ქუჩამდე) 62 242(სამოცდაორი ათას ორასორმოცდაორი) ლარი; ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეულისა და უშაფათის ადმინისტრაციული

ერთეულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 200 000(ორასი ათასი) ლარი; ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, პატარა შხეფის უბანში გზის რეაბილიტაცია გზის რეაბილიტაცია 252963(ორასორმოცდათორმეტი ათას ცხრაასსამოცდასამი) ლარი; ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის (ზემო ჭალადიდის ცენტრიდან საგვიჩიოს მიმართულებით) 600 000(ექვსასი ათასი) ლარი; ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის (ზემო ჭალადიდის ცენტრიდან საგვიჩიოს მიმართულებით, მეორე ეტაპი) 184 431(ასოთხმოცდაოთხი ათას ოთხასოცდათერთმეტი) ლარი; ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სკოლიდან მეურნეობისაკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია 400 000(ოთხასი ათასი) ლარი;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ამ ეტაპზე „სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტ"-ში გაიზარდოს შემოსულობები - გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, კერძოდ, კაპიტალური ტრანსფერი (კოდი1332112) 5 985 798 (ხუთი მილიონ ცხრაასოთხმოცდახუთი ათას შვიდასოთხმოცდაცხრამეტი) ლარით და შესაბამისად გაიზარდოს გზების რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 5 985 798 (ხუთი მილიონ ცხრაასოთხმოცდახუთი ათას შვიდასოთხმოცდაცხრამეტი) ლარით.

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის №53 განკარგულებით ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სენაკის მუნიციპალიტეტს გამოუყო 738000 (შვიდასოცდათვრამეტი ათასი) ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია „სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტ"-ში გაიზარდოს შემოსულობები - გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, კერძოდ, კაპიტალური ტრანსფერი (კოდი1332112) 738000 (შვიდასოცდათვრამეტი ათასი) ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში (პროგრამული კოდი 02 10) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 738000 (შვიდასოცდათვრამეტი ათასი) ლარით.

ამასთან, 2025 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით სენაკის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე ირიცხება თავისუფალი ნაშთი 597617 (ხუთასოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ექვსასჩვიდმეტი) ლარი, მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის 441291 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტის 156326 ლარი. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2019-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილ იქნა გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 260000 ლარი, ათვისებულ იქნა 144900 ლარი და თავისუფალი ნაშთი შეადგენს 115100 (ასთხუთმეტი ათასი ლარი) ლარს, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებლად გამოყოფილი იქნა სპეციალური ტრანსფერი

4420,0 ათ.ლარი გახარჯულ იქნა 2024 წელს 4093809 ლარი და ნაშთი წლის დასაწყისში შეადგენს 326191 (სამასოცდაექვსიათას ასოთხმოცდათერთმეტი) ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთიაა 156326 (ასორმოცდათექვსმეტიათასსამასოცდაექვსი) ლარი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტ''-ში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, განხორციელდეს ფინანსური აქტივების გამოყენება 597617 (ხუთასოთხმოცდაჩვიდმეტიათას ექვსასჩვიდმეტი ლარი) ლარის (სახელმწიფო ბიუჯეტი 441291 და ადგილობრივი 156326 ლარი), შესაბამისად გაიზარდოს: სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია პროგრამის (პროგრამული კოდი 02 08)არაფინანსური აქტივის ზრდის მუხლი 326191(სამასოცდაექვსიათას ასოთხმოცდათერთმეტი) ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიების პროგრამის (პროგრამული კოდი 02 06) არაფინანსური აქტივის ზრდის მუხლი 156326 (ასორმოცდათექვსმეტიათასსამასოცდაექვსი) ლარით და კულტურის რეაბილიტაციის ღონისძიების პროგრამა(05 02 05) არაფინანსური აქტივის ზრდის მუხლი 115100 (ასთხუთმეტი ათასი ლარი) ლარით

ყოველივე ზემოაღნიშნული ასახული უნდა იქნეს „სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 იანვრის №4 დადგენილებაში, რისთვისაც წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს.

პროექტი მომზადებულია სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის მიერ.

სენაკის მუნიციპალი მერის პირველი მოადგილე ბადრი ქუთელია

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დონარა ალანია